სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 46

2013 წლის 03 სექტემბერი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო გრანტი საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ 2013 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენის, საგრანტო კონკურსის პირობებისა და საპროექტო განაცხადების ფორმების დამტკიცების თაობაზე

„სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ დებულებისა და საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 ივლისის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „ე“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2013 წლის 13 მარტის N01 ოქმის (გადაწყვეტილების) გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2013 წლის 3 სექტემბერს „სახელმწიფო გრანტი საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ 2013 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი.
2. პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება 2013 წლის 10 სექტემბრიდან 18 ოქტომბრის ჩათვლით.

3. ელექტრონულად დარეგისტრირებული პროექტებისათვის „პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ ფონდში წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 22 ოქტომბრის 18 საათისა.

4. დამტკიცდეს „სახელმწიფო გრანტი საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ 2013 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.

5. დამტკიცდეს „სახელმწიფო გრანტი საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ 2013 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის საპროექტო განაცხადის ფორმები:

ა) საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად;

ბ) პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად;

გ) პროექტის მონაწილეთა პროფესიული ავტობიოგრაფია **(Curriculum Vitae)** ამ ბრძანების დანართი №4-ის შესაბამისად;

დ) კონკურსში მონაწილეობის შესახებ პროექტში მონაწილე ფიზიკური და იურიდიული პირების ერთობლივი განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №5-ის შესაბამისად.

6. დაევალოს ფონდის კონსულტანტს მეცნიერების პოპულარიზაციის საკითხებში (დ. გუგავა) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.

7. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

სულხან სისაური